№ 37.

# ივერია

წელიწადი პირველი — 10 ნოემბ. 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5
ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.

ათის თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. —
თითო ნომერი . . . . . . . . . . . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

**საძიებელი** I. საქართველოს მატიანე: თფილისი—ივერიის კორრესპონდენციები:—ახალციხელის გლეხის ნაამბობი—ზაქათალის მაზრიდამ—II. საპოლიტიკო მიმოხილვა:—საფრანგეთი—ინგლისი—ოსმალეთი—ავსტრო-ვენგრია—სერბია—III. ომის ამბები.—IV. წერილი პეტერბურღიდამ: წერილი მეორე—V. გლეხური ლექსები.—VI. ჩვენის ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა (დასასრული) VII. განცხადება.

## საქართველოს მატიანე

ტფილისი. ჩვენს ქვეყანაში დიდი და პატარა სწავლის, განათლების სახსარს ჰსტირის და ჰსჩივის, მაგრამ მაინც შველა არსად არის. საკვირველიც არ არის. ტირილითა და ვიშითა მტერნი არ შეგვიბრალებენო, ამბობს ჩვენი გლეხური ანდაზა. სხვაზედ მინდობა ქვიშაზედ აშენებული შენობა ყოფილა და იქნება კიდეც ამ ქვეყნიერობაში. წამოუვლის ნაღვარი „შემთხვევისა“ და იმ იმედს, იმ მინდობას აღგვის ხოლმე დედამიწის ზურგიდამ და იმედევნეულს, სხვაზედ დანდობილს ერთს უდაბურს ტინზედ გარიყავს, შენს თავს შენვე მოუარეო. ეს კანონი ისტორიული კანონია, იქნება ზოგიერთისათვის ფრიად არ მოსაწონი, მაგრამ აუცილებელი კი. ბევრიც რომ ვიგაგლახოთ, ბევრიც რომ ვატაროთ უბეში სხვაზედ დამყარებული იმედი, მაინც ბოლოს „ჟამთა სვლა“ ამ კანონზედ დაგვაყენებს და დრო წარსული ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგული დრო იქმნება. ჩვენ ვამბობთ, რომ ხალხი თვით-მოქმედებით არის მხოლოდ ძლიერი და ნაყოფიერი სულით, თუ ხორცით. რაც მალე დავიჯერებთ ამ ჭეშმარიტებას, რაც მალე შევითვისებთ მით მალე გამოვიხსნით თავს იმ გაჭირებიდამ, რომელშიაც ასე სასოწარკვეთილებით დღეს ვიმყოფებით. გვეყო, რაც ჩვენმა წარსულმა ჩვენ მაგალითები გვიჩვენა. ნუ თუ აქამომდე გული ვერ დავაჯერეთ, რომ ჩვენს გარე ჩვენი სხნა სიზმარია! მაშ თუ ასეა, სწავლისა და განათლების სახსარის ნაკლებულობას ჩვენის ცრემლით, ვახით და ვიშით ვერ შევავსებთ. სულ ტყუილია. როგორც თვითეული კაცი, ისე საზოგადოება, ისე ხალხი მარტო თავისით არის და თავისით უნდა იყოს კიდეც. ძალაც ამისთანა ხალხშია და ბედიცა.

ოცს საუკუნეზე მეტია რაც ჩვენი ხალხი ისტორიულს ასპარეზზედ გამოსულა. ამ ხანგრძლივ დროთა მიმავლობაში ჩვენს ხალხს ერთს ხელში თოფი და ხმალი ჰსჭერია და მეორეში გუთანი და ამ ყოფით და ვაი-ვაგლახით გაუტარებია ეს აუარებელი დრო. თუ შიგა და შიგ, ჭრელად რამდენიმე წელიწადი მოსვენება შეხვედრია, მაშინვე ის მოსვენების დრო შეუწირავს სწავლისა და განათლებისათვის. დავით აღმაშენებელისა და თამარ-დედოფლის მეფობა ამ შემთხვევაში მეტად სანუგეშო მაგალითებს წარმოგვიდგენს. ..საქართველო, ახლა ცოტად თუ ბევრად დამშვიდდა, მაგრამ ამ დამშვიდებას არ მოჰყვა ის ნაყოფი სწავლისა და განათლებისა, რომელიც უნდა მოჰყოლოდა. რისგამო? თუ უწინ დღე ჩვენი დამდებოდა

და ღამე თენდებოდა მარტო იმის მეცადინეობაში, რომ მტერი მოგვგერებინა, თუ უწინ ამის გამო სწავლისათვის მოცლა არა გვქონია, ეხლა ხომ უნდა გვქონოდა. ეხლა ხომ ეს მიზეზი არ გვიშლიდა და რატომ მოხდა, რომ სწავლის და განათლების ნაკლებულობაზედ ასეთი სამართლიანი სამდურავი მიგვიძღვის?

ჩვენ ამის მიზეზს იმაში კი არა ვხედავთ, რომ ვითომც სწავლის სურვილი არა გვქონდეს, როგორც ზოგიერთნი ჩვენნი კეთილის-მყოფელნი ამტკიცებენ. არა,—სურვილი დიდია. არც იმაში ვხედავთ, რომ სწავლის მიღების ნიჭი არა გვქონდეს, თუმცა ამასაც ჩვენი კეთილის-მყოფელნი ჭყვირიან. არც იმაში ვხედავთ, რომ ვითომ ნივთიერს ღონისძიებას მოკლებულნი ვართ. ესეც ტყუილია, ჩვენის ფიქრით მართლადა, არც ისე ლუკმა-გაწყვეტილები ვართ, რომ, თუ არ თვითეულმან ცალკე, ერთად მაინც საზოგადოებრივად ღონისძიება არ მოვიკრიფოთ ჩვენის აუცილებელის საჭიროების შესავსებლად. მიზეზი ის არის, რომ დროთა ბრუნვამ სხვის მაყურებლად გაგვხადა, სხვაზედ იმედს შეგვაჩვივა და ამაებმა სრულიად წარწყმიდეს ჩვენში ის თვით-მოქმედების ძალღონე, რომელიც უწინ იყო და რომელიც თუ კი სადმე არის, ყველგან ხალხის ბედნიერების სათაურია და საფუძველიც. ხსნა ჩვენი თვით-მოქმედებაში და ერთობაშია. საცა კაცი თვითონ არ არის, სხვისით არა გაკეთებულა რა, საცა ერთი ვერას იქმს, იქ ოცსა და ორმოცს ერთად შეუძლიან ქმნას.

ამ ჭეშმარიტს და ფრიად ნაყოფიერს აზრზედ არის დამყარებული ერთის ჩვენის პატივცემულის გვამის მეცადინეობა, რომელმაც ამ ცოტას ხანში ჩვენში კარგა ბლომად მომხრეები მოიპოვა. თ. გიორგი რომანის ძე ერისთავმა, მიიღო რა სახეში სწავლის გავრცელების საჭიროება ჩვენში, ამასთან თვითეულის ჩვენგანის ცალკე ღონე-ნაკლებობა,—ჩვენს გაჭირებას წამალი მოუპოვა. რასაც თვითონ არ ვიმოქმედებთო, სხვისაგან ბევრს ნურას ველოდებითო; რასაც თვითეული ცალკე ვერ შევძლებთო, ამას საზოგადოებრივად, ერთად ადვილად შევიძლებთო, აი ორი ნაყოფიერი აზრი იმ მეცადინეობის დედა-ბოძად მიღებული. შეუდგა ამ აზრზედ დამყარებული თ. ერისთავი საზოგადოების შედგენას, რომელმაც ხელი უნდა გაუმართოს და შეუწყოს ჩვენის ქვეყნის ღარიბს ხალხს და ნამეტნავად ღარიბ—თავად-აზნაურებს, რომ შვილებს რიგიანის სწავლისა და განათლების გზა მიჰსცენ დაბალ თუ მაღალ სასწავლებელში. „ვინ არ იცისო, ამბობს თვის წინასიტყვაობაში თ. გ. რ. ერისთავი, რომ ამ საგანზედ ჩვენი გულგრილობა ჩვენის თავის სიკვდილიაო! ნუ თუ ეგ არ მოუღებს ბოლოს თვით ხალხსაცაო! ნუ თუ ეგ არ მოიწვევს ჩვენს თავზედაო რისხვასა და წყევასა ჩვენის შთამომავლობისასაო!“

ვისაც ჰსურს ამ ქვეყნისათვის საკეთილო საქმეში მონაწილეობა მიიღოს, მას, ქალი იქმნება თუ მამა-კაცი, გლეხი, თუ თავადი ნება აქვს ჩაეწეროს წევრად საზოგადოებაში იმ აუცილებელის პირობით კი, რომ წელიწადში არა ნაკლებ ერთის მანეთისა ფული წარუდგინოს საზოგადოებას. ჩვენ ამ საქმის მეთაურისაგან მონდობილი გვაქვს ეს საჯაროდ გამოვაცხადოთ და ვსთხოვოთ ყველას, ვისაც ენებება ამ საზოგადოებაში წევრად შესვლა, „ივერიის“ რედაქციას აცნობოს; ფულს კი ჯერხანობით ნუ გამოჰგზავნიან, რადგანაც ამის თაობაზედ თავის დროზედ ჯეროვანს განკარგულებას მოახდენენ საქმის გამგებელნი.

ამ საზოგადოების წესდება შედგენილია და ამ მოკლე ხანში წარდგენილ იქმნება მთავრობის წინაშე დასამტკიცებლად. როცა დაამტკიცებენ, ჩვენ ვეცდებით ის წესდება საყოველთაოდ საცნობელად გავხადოთ.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ქართველობა ამ ქველურს საქმეში უკან არ დაიხევს, გულმტკივნეულობით და თანაგრძნობით მიეგებება და ხელს შეუწყობს.

გვეყო, ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება. ჩვენის გაჭირებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ. მძიმეა ეს უღელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგულად გაწევა. მძიმეა, მაგრამ უმაგისოდ ვერ მოებულა ამ ქვეყნიერობაზედ სიკეთე და ძალ-ღონე ხალხისა. სხვა გზა არ არის, ჩვენის ცხოვრების შარა-გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ.

ჯერ თუნდა აქედამ დავიწყოთ, რომ ჩვენს შვილებს სწავლისა, განათლებისა და ერთობ კაცად ქცევის გზა მივსცეთ იმოდენად ფართოდ, რამოდენადაც შესაძლო იქნება.

---

(„ივერიის“ კორრესპონდენციები.)

## ახალციხის გლეხის ნაამბობი.

გაზეთჯი ბატონ ჯან! *)

ჯანუმ, ეს ნაირი განსხვავება ყოფილა აქაურობის და ჩვენი ახალციხის სანჯახის შუა? ჩვენ სოფლებში ერთი სოფლიდამ მეორეში რომ გავიაროთ, უნდა შიშით ვიკანკალოთ. აქ, შენი ჭირიმე, როცა გინდა არხეინად და შუბლ-ღია იარე-სულ არაფერი. აგერ ორი დღეა ჩამოველი საშურში, ჯანუმ სულ გაოცებაში ვარ. აქაური ემენები ყოველათფერი გასაოცარი ყოფილა. აი დასწყევლოს ღმერთმა, ეგ ემენი, რომ ვნახე, რო დადის თავის-თავათ, მეშინაა რაღაც, გამიკვირდა და სულ ალლახ-ალლახ! დავიძახე. ეგ ემმაკ ფრანგებს რაები მოუგონიათ? ჩვენშიც ბევრი ფრანგები არიან, მაგრამ მაგისთანა ემენები, როდი იციან, შენი ჭირიმე. ისინიც ჩვენისთანა ქართველები არიან.

არა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ჩვენში მაგისთანა ემენები არ გასძლავს, აი ჩვენში კი ბევრია: ჩხუბი, ქურდობა სოფლებზე დაცემა და ტყვეთ წასხმა, ბევრი როგორც ჩიჩქვი.

იმ დალოცვილს რომ უთქვამს სწორეთ ისეა ჩვენი ახალციხის სანჯახი „თავათ არ იყო მძარი, შიგ შეურიესო წყალი. ჭალა ყავლა არ იყო რა დარაჯაზე იყო და რა ამბები იყო, რომ ახლა რა იყოს.

თუ გახსოვსთ და წაგიკითხავს, შენი ჭირიმე, მე ემენი ვქენი მეორე ქართულს გაზეთაში ორი წლის წინეთ დავსწერე, რა დარაჯაზე იყო ჩვენი სოფლები იმანსიზი აჭარლების ხელით. ახლა რაღა თქმა უნდა, რომ უარესია. გავლილ თვეში კი არა, მეორე თვეში იმ იმანსიზი აჭარებმა იმისთანა ალავათ მოგვაყენეს, რომ არ შეიძლია ვსთქვა—შვაღამისა დაგვესხნენ, შენი მუხლების ჭირიმე, და სულ აგვიკლეს ურჯულოებმა. იცით ბატონო როგორ მოხდა? თუ არ გეზარებათ, რომ გაიგონოთ ჩემისთანა უღირსის გლეხის ტიტინი, აი მოგახსენებ თავიდამ ბოლომდისინ, როგორ მოხდა ეს საქმე, შენი ჭირიმე:

ჩვენ სოფელს „უდეს“ ეძახიან. ამ ერთ სოფელში ვცხოვრობთ ქართველები, თათრები და ქართველ-ფრანგები. მართალია, სამი სხვა და სხვა შენნიგები ვართ, მაგრამ ძმა-ყარდაშულათ ვცხოვრობთ. ისიც მართალია, რომ თათრები არიან ცოტა ემენები, ხომ მოგეხსენებათ: ძაღლი-ძაღლის ძვალს არ გასტეხსო, უკაცრავათ გაბედვისათვის, მაგრამ იმთონათ არ გვაზარალებენ სოლმე. მადლობა ღმერთსა, ყოველათფერი გვაქვს, ღმერთს მოუცია ჩვენთვის გალურიანი მიწა. მოგვდის კარგი კართოფილი, ლახანა, კიტრი, ყარფუზი და ხე-ხილეულებიც ბევრი გვაქვს, მაგრამ რა გამოვიდა?—ჩვენთვის ურგები თაფლი, არ ვიცი, ვისა. იმისთანა ალები გვყავს, რომ შენი მტერი, აჭარლებზე და ბაშიბოზუკებზე უარესები არიან.....

ჭო, მართლა, ბატონო, ეგ უნდა მომეხსენებინა თქვენთვისა: შვაღამე იყო, ჩვენ სოფელში რაღაც აყალმაყალი, ვაი-ვაგლახი გაჩნდა. მერე სთქვეს, რომ აჭარლები მოდიანო, უნდა აგვიკლონო. ახლა თქვენ იფიქრეთ შენი ჭირიმე, რა ალავათი იქმნებოდა სოფელში. იმისთანა შიშ-კანკალი, ყმაწვილების, ქალების ტირილი შეიქმნა, რომ მეტი არ შეიძლება. ღმერთსა ვსთხოვ თათრების ოჯახს მოუყვედეს მაგისთანა დღე. როგორც იყო, შენი ჭირიმე, ყმაწვილები, ქალები, ბებრები შევიყვანეთ საყდარში, რომ ილოცონ; ჩვენ კი კაცები დავრჩით და ველოდით რა უბედურება უნდა მოგვსვლოდა. ერთიც ვნახოთ დაგვეცნენ თავს აჭარლები. სულ თოფებით და ფიშტოებით შეიარაღებულები. თოფები ინგლისური ჰქონდათ. დაიწყეს სროლა. თოფების გრიალმა და იმ იმანსიზების ღრიალმა იქაურობა სულ აიკლო. ჩვენ სოფელში მილიციონერები იდგნენ, ვითომ იქაურობას ყარაულობდნენ. რო დაინახეს აჭარლები და თოფების ხმა გაიგონეს, სულ გაიქცნენ და კატებსავით ჭერებში დაიმალნენ. დავრჩით ჩვენ სოფლელები! აბა ჩვენ რა უნდა გვექმნა, შენი ჭირიმე? მკელი ქართველები უნდა ყოფილიყვნენ, რომ ისინი, ის უსჯულოები სულ მუშტით გა-

---

*) ეს ზემოხსენებული მიამბო ერთმა ახალციხელმა გლეხმა, რომლის სიტყვებიდამ შევადგინე ეს წერილი. სინამდვილეზე დარწმუნებული ბძანდებოდეთ. ამ გლეხის გარდა ეს ამბავი მიამბეს იმისთანა პირებმა, რომლებიც ყოფილიყვნენ იმ სოფელში გამოძიების დროს.

რეკნაო, მაგრამ ჩვენ უიარაღოები რას ვიზამდით!....ჩვენც გავიქეცით, რომ მაინც სულები დაგვეხსნათ იმ იმანსიზებისაგან. შესცვივდნენ ის ურჯულოები სახლებში, აიკლეს იქაურობა და რაც მოეწონათ იმათ ავ სულებს წაიღეს. ამ ალიავათში ერთმა ვაჟკაცმა თქვენი ჭირი წაიღო. ამ იმანსიზების გასურებულმა ტყვიამ მოაშორა ის უბედური თავის ცოლ-შვილს და დედ-მამას. როცა გამოძღნენ ურჯულები და ყაზახებიც მოახლოვდნენ მისაშველებლათ, მაშინ დასტოვეს ჩვენ გავერანებული და გაოხრებული სოფელი და დაიხეტნენ, შენი ჭირიმე.

რომ სულ წავიდნენ ის ურჯულები და ყველა დამშვიდდა, მაშინ მე რაღაც ხმა შემომესმა „ეი, მიშველეთ ქრისტიანები არა ხართ!.....ჭყვიროდა. მე ყურები ავიცქვეტე, ყურები ავიღე მაღლა. ხმა დედა-მიწის შუაგულიდამ მოდიოდა. ვსთქვი, აი დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი და ქაჯი: დედა-მიწის ქვეშ მცხოვრებლებსაც ხომ არ დაეცნენ აჯარლები მეთქი. ვამბობ, ჯანუმ, ახ, ეს რა ამბავია. გარგათ რომ ყური დაუგდე, გავიგე, რომ ხმა ამბარის ქვეშიდამ მოდის; მივუახლოვდი ამბარს და ვეკითხები: ეი, კაცო, ვინა ხარ, რა გინდა მანდა? როგორღა ჩავარდი მანდა, ეჰა?—ქრისტიანები არა ხართ, ერთი ამომიყვანეთ და მერე გეტყვი, როგორც მოხდა. მაშინ შენი ჭირიმე, დავიბარეთ ტარჩინა, ხალხი, მოვიტანეთ ჭრაქი, ჩავკიდეთ თოკი და ამოვიყვანეთ.—

აი დასწყევლა ღმერთმა, თურმე ჩვენი ბატონი ყურლანოვი არ ყოფილა!...აქ ჩვენ სოფელში მელიციონერების ასის თავათ რომ ბძანდება. აი დასწყევლოს ღმერთმან, როგორ ჩავარდი ამ ემბში მეთქი. როგორა და, როცა აჯარლები მოვიდნენ, ხალხი და მელიციონერები გამეგცნენ, მარტო დავრჩით; მინდოდა შევმალულვიყავ ამ ამბრის ქვეშა, თურმე იმ ოჯახს დაქცეულხიც ორმო ყოფილა. ტულუმში გამოვდე—ჩავარდი შიგაო. ხომ მშვიდობაა? ახლა მოდი ჯანუმ და ნუ იტყვი: ვინ განიერ-მალვარა და დიდ-მუცელა სომეხი და ვინ ასისთაობა?!...

აი ასე მოხდა შენი ჭირიმე. თავი შეგაწყინე, აფი ქენი (მამიტევე).

19 ოკტომბერს 1877 წ.
სოფ. ხაშური.

გლეხი მურო.

---

ზაქათალის მაზრიდგან, 20 ს ღვინობისთვეს. აწინდელის ომიანობის გამო ჩვენს ზაქათალის მაზრაშიაც გამოჩნდნენ უქმ-მაწანწალა კაცები, რომელნიც დღემდე ჭყრიან ხმას, რომ ლეკები მოდიანო. მას აქეთ რაც მე აქ ვარ (ეს ხუთი თვეა) სულ ამას იძახიან, მაგრამ დღემდინაც ზაქათალის მიჯნას ცუდის განზრახვით არც ერთი ლეკი არ გადმოსულა; იმიტომ რომ თვითონ მაზრის მცხოვრებლებისგან მათ ეშინიანთ, რადგან უკანასკნელები არც მათთან თანახმანი არიან და არც არავითარ პირობას აძლევენ.—რაც ს. მიხაილოვკას, მაღაკნების სოფელს, დაეცნენ ლეკები მას აქეთ ქ. ზაქათალის მცხოვრებნი ამ თვის თუთხმეტამდე ციხეში იყვნენ შეხიზნულნი, მხოლოდ ეს ოთხი-ხუთი დღეა რაც ციხიდგან გამოვიდნენ; ისეც კიდევ ნახევრად: თვითო ხელის ქვეშაგების გარდა თვითო კაცზედ, ყველაფერი სხვა ციხეშივე აქვთ შენახული. ციხეში ყოფნის დროს ჩვენი მოქალაქები და განსაკუთრებით ქონდრულა ტუზები არამც თუ სადმე ქალაქიდგან გარეთ არ მიდიოდნენ, არამედ თვითონ ქალაქშიაც ვერ ჩამოდიოდნენ დღისით, სადამოზედ ან ღამით ხომ რაღა თქმა უნდა. ქალაქი სრულიად მიყრუვებული და ცარიელი იყო. თურმე ნუ იტყვით,—მოქალაქები ორივე სქესისა ამ გვარ მდგომარეობის ძალიან მოხარულნი ყოფილან: ეს დრო ლოტო, პრეფერანსისა და სტუკოლკას თამაშობაში გატარებულ იქმნა. ამასობაში მათი შეშინებული და მშიერი გონება აბა რას არ მოიგონებდა! ამ ხანის განმავლობაში ჩვენის ქალაქის დოპჩინსკებმა, ბოპჩინსკებმა და ხისუებმა, ვგონებ, ათასჯერ კიდეც ცარიელ სიტყვიერად ჩამოიყვანეს ლეკები სამმთის უკანიდამ. ერთი ამბობდა: ლეკები მთაზედ ოთხს ადგილას გადმოვლენ და ჩამოგვესევიანო ოთხ ნაწილად გაყოფილი ჯარებითაო: ერთი ლაგოდეხს დაეცემაო, მეორე ზაქათალას, მესამე და მეოთხე სს. მეხახს და კახსო. მეორე იძახდა მე ნამდვილ წყაროდგან გავიგეო, რომ ამ მომავალ პარასკევს მუსაივი ქენებათო, ჯამაათადაო და ორშაბათს კი უთუოთ დაგვეცემიანო. მომეტებული ნაწილი, მათ შორის მისს მაღალკეთილშობილებანიც იმას ღაღადებდნენ, რომ ბაირამს შემდეგ მონამდვილად დაგვეცემიანო. ეს მოგონება ყველას შეურყეველ ჭეშმარიტებად მიაჩნდა.

ძალიან ცუდს ყოფაში იქმნებოდნენ ჩვენი ქალაქელები, თუ რომ ბაირამის დღეს კავკასის მთიულეთის

სამმართველოდგან (Изъ Кавказскаго Горнаго Управленія) უფ. ზოლკოვნიკი არაკინი არ მოსულიყო. უფ. არაკინი ხუთს დღეს დარჩა ზაქათალაში და ქვემ ქალაქში იდგა. ამ შემთხვევამ ცოტა არ იყოს დაამშვიდა და გააგულადა ჩვენი მშიშარა მოქალაქენი. გამოსალმების დროსაც უფ. არაკინი დაგვპირდა, რომ ორს ბატალიონს ჯარს უსათუოდ გამოვგზავნითო. მის წასვლის შემდეგ ორმა დღემაც არ გაიარა რომ ერთი ბატალიონი, ორასი ყაზახი, ორის საზარო ზარბაზნით მოვიდნენ. ამათ მოსვლისვე დღეს ს. კახიდგან ამბავი მოიტანეს, რომ ლეკები ახტიში ჩამოსულანო და ახლა სალავათზედ არიანო. სალავათის დასტა აპირებსო შინის შემოსავალიდგან ს. კახში შემოსევასო. ამის გამო ახალი მოსული ბატალიონი მეორე დღესვე ყაზახებით და ზარბაზნებითურთ ს. კახში გაისტუმრეს. ეს ორი კვირაა, რაც იგინი ს. კახში იმყოფებიან. ეს ბატალიონი წავიდა კახში თუ არა, იმავე ღამეს მოვიდა ზაქათალაში მეორე ბატალიონიც.

ეს ერთი კვირა იქნება რაც თუქურმიშიდგან აქ მობრძანდა ღენერალი ი. ორბელიანი ორასის ყაზახითა და ასიოდე თუშითა. იგი თავის ცხენოსან თუშებით გუშინ დაბრუნდა ს. კახიდგან. ჩვენ ნამდვილი წყაროებიდგან ვიცით, რომ ს. კახის მშვიდობიანობის დარღვევას არავითარი მიზეზი არა აქვსო. ჩვენ არც მაშინ გვჯეროდა, როცა ზემოხსენებული ამბები გვესმოდა. მაგრამ ცრუპენტელაებისგან შეთხუზულის ამბებისგან დაშინებულმან ზაქათალის მოქალაქეებმან დიდი ვნება მისცეს სოფლელ ხალხს. ამ საგანზედ ესლა ჩემი გავრცელება შეუძლებელია, თუ შემთხვევა გვექნება ამაზედაც სხვა დროს მოვილაპარაკებთ....

ამ გვარის ხმების დამჯერელნი — ვითომ ლეკები „აი დღეს მოვლენ, აი ხვალო“ — განსაკუთრებით ვაჭართაგანნი არიან. ეს წრე აქ მომეტებულად არის დაფეთხალი და შეშინებული; და ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც ამ წრემ თავის დროს რაც ღონე, ძალა და უსინდისიანობა ჰქონდა მითი ისარგებლა და ჰსცარცვა სოფლური ხალხობა. აქაურს ვაჭრებს სოფლურ ხალხისა უფრო ეშინიათ, ვინემ ლეკებისა. ვაი თუ ბადალი და სამაგიერო გადაგვიხადონო! — ამას წინედ გაგვაკვირვეს ს. კახის ბაზრის ვაჭრებმან! აი რით. კახის „უჩასტკის“ მცხოვრებნი ხშირად საჩივრებს, არზებს აძლევდნენ მთიულეთის სამმართებლოს უფროსებს, რომ კახის ვაჭრები თითქმის უფასოდ ჩვენს მიწა-წყალს ვალებში იღებენო და ჩვენც მამულებიდგან გვდევნიანო და სხვა. ამგვარი საჩივრები მაშინ ბევრი მიდიოდა. ესლა ვცნობულობთ მთიულეთის სამმართველოს ღირსეული ყურადღება მიუქცევია თურმე გლეხების საჩივრებისთვის; მაგრამ ამაზედ არა სცოდნია რა ხალხს, რადგანაც მაშინდელი ადმინისტრაციის გამგებელთ ამაზედ მიწერ-მოწერა დაუმალავთ. საკვირველიც არ არის. არ ვიცი მართალია თუ ტყუილი, ამბობენ კი რომ მაშინდელი ნაიბი კაი თვალით უყურებდა ვაჭრებსაო და ვაჭრებიც, რასაკვირველია, უცოდველს პატივისცემას არ აკლებდნენო. ამ ნაირად იმართებოდა თურმე ნაიბის და ვაჭრებს შუა ფერხულის მსგავსი თამაშობა. ნაიბი უკრავდა დიმპლიპიტოს, ვაჭრები თამაშობდნენ და ვაჭრები უკრავდნენ ნაიბი ჰთამაშობდა. ეგრე ტკბილად და აუმღვრეველად ჰსცხოვრებდნენ თურმე გამგებელნი და განგებულნი. „დაილოცოს ღმერთმა ის დრო,“ — ტყუილად ხომ არ იგონებენ ესლა გულშიცემით ჩვენი წურბელა ვაჭრები. ამ მფარველობის გამო ვაჭრები ძალიან ადვილად იჩხენდნენ ვალებში გლეხთა მამულებსა.

წელს ბევრი გლეხობა დარჩებოდა უმიწა-წყლოდ, რადგან ვაჭრები ბევრს ემუქრებოდნენ ვალებში მამულების დაჭერას, თუ ამასობაში კახის უჩასტკის უფროსად არ დანიშნულიყო ერთი განათლებული და კეთილსვინიდისიანი პირი უფ. ბოლუსლავსკი. ეს პირი ძალიან პატიოსან და გლეხებისთვის თავშემატკივარ კაცად აღმოჩნდა. მან ამ თანამდებობის დანიშვნის თანავე რიგიანად გაიცნო ეკონომიური და ზნეობითი მდგომარეობა გლეხების; განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია გლეხების ვალებს, ამ საქმის თაობაზედ მონახა ის მიმალული ქაღალდები, სადაც მთიულეთის სამმართებლოსგან იყო აღკრძალული მამულების და მიწების ზოგ-სომხებისთვის ვალებში მიცემა. ამის გარდა უფ. ბოლუსლავსკიმ ვაჭრებს და ხალხს გამოუცხადა, რომ კანონის ძალით გლეხებს არ გაეყიდებათ ის, რაც მათს უსაჭიროესს კუთვნილებას შეადგენსო და გლეხების მამულების ვალში მიცემა შეუძლებელიაო. თვითონ კახის ბაზრის წესიერებისა მებრ ვაჭრობასაც ყურადღება მიაქცია. აი რა ამბები მოხდება ხოლმე აქაურს ბაზარში: ერთხელ ერთმა გლეხმა მოიტანა ერთი ურემი ბალახი ბაზარში გასასყიდლად. ამ გლეხს მართებია თურმე ექვსა.

შაური ერთის ვაჭრისა, ვაჭარმა ჩვეულებისა მებრ წაარ-თო ერთი ურემი ბალახი ექვს შაურში, მაშინ, როდესაც ნამდვილი ფასი ერთის ურმის ბალახისა, უკანასკნელი მანეთ-ნახევარია. ერთი ვაჭარი ჩვეულებისა მებრ ჭყი-დუღობდა ხოლმე დამპალს თევზს და ურევდა კარგს ნაჭ-რებში, რომ კარგთან ცუდიც გაესაღოს, რადგანაც კარგ-თან მყრალი თევზი ისეთ ძლიერს სუნს არ აუშვებდა. ამ და ბევრმა ამის მსგავსმა შემთხვევამ უჩვენა უფ. ბო-ლუსლავსკის თუ რას და რა ნაირი ყურადღება უნდა მიაქ-ციოს. მიაქცია კიდეც, მაგრამ ვაჭრებს ვერაფრად ეჭაშ-ნიკათ. ეს რომ დაინახეს ვაჭრებმან, ჯერ მოინდომეს შინაურულად მასთან მორიგება, შეუთვალეს თქვენთვისაც ძალიან კარგი იქნებაო, რომ უწინდელ ნაიბებსავით ჩვენ-თან იოლად წახვიდეთო. უფ. ბოლუსლავსკიმ ამას ყუ-რიც არ ათხოვა. ამასობაში მას ბრძანებაც მოუვიდა, რომ მან ოქმები შეადგინოს იმ მიწებზედ და მამულებ-ზედ, რაც ვალებში ვაჭრებმან დაიჭირეს. ამ ოქმების გა-მო ძალიან შესაძლო არის, რომ მიწები პატრონებსვე დაუბრუნდესთ. ვაჭრებმა რომ ნახეს საქმე ცუდათ არისო, დაუწყეს ხვეწნა ფულს მოგართმევთო, ოღონდ ჩვენს და-ჭერილ მიწებზედ ოქმებს ნუ შეადგენთო. ერთი ვაჭარი მას ორმოც თუმანს აძლევდა ოღონდ მე დამეხსენიო. ამ გვარივე საქმის თაობაზედ ერთი შესანიშნავი ფულით (და გინდ თავის ტან-ფერ მეცლითაც) კახის ვაჭარი ბევრს სხვა და სხვა ნივთებს ჰპირდებოდა. უფ. ბოლუს-ლავსკიმ მაინც თავისი არ დაიშალა და ვერც შეეძლო სხვა-ფრივ მოქმედება და შეუდგა ოქმების შედგენას. ამ დროს კიდეც დაფთხა ხალხი „ლეკები მოდიანო“ და რამდე-ნიმე ოქმის შემდეგ უფ. ბოლუსლავსკის ბრძანება მოუ-ვიდა, რომ მან ეს საქმე შეაჩეროს, მანამ აქაურობა დამ-შვიდდება. ამ დროს ზაქათალაში მოვიდა უფ. არაკინი. კახის ვაჭრები და არტემები შეგროვდნენ ერთად იმის მოსაზრებლად თუ რა უნდა უყონ უფ. ბოლუსლავსკის, და მას რო მიწები არ ჩამოერთოთ. რადგან ვაჭრებმან ვერაფერი ვერ მოისაზრეს, ამის გამო მათ მიჰმართეს ერთს პირს ზ—ევს, გვიშველე რამეო. ამან კარგად მო-უსაზრა: ჯერ მიიღო „სალოტოო“ სამი თუმანი ფული და ვაჭრებს უთხრა მე დავსწერო არზას თქვენ მიე-ცით უფ. არაკინს; მასთანვე მითხარითო ისეთი დანა-შაულობა უფ. ბოლუსლავსკისა, რომ შეიძლებოდეს სა-ბუთად ჩაითვალოსო და სხვა ადგილას გარდიყვანენო. ამგვარი საბუთები მიპოვნეთო და ჩავსწერ არზაშიო. მიუტანეს საბუთები თუ არა, არ ვიცი, ეს კი ვიცი 13—16-ს დაუწერია არზა და ვაჭრებსაც მიურთმევიათ ვისთვისაც ჯერ არს. ახლა კახის ვაჭრები ძალიან ამაყად დადიან იმ იმედით, რომ უფ. ბოლუსლავსკის უსათუოდ სხვაგან გარდაიყვანენო.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

ჩვენებმა ყარსი აიღეს, ეგ მაგარი ზღუდე ოსმალე-თისა მცირე აზიაში ჩვენებმა ჩაიგდეს ხელში. დიდი ელდა ეცემა სტამბოლს საკუთრივ და ოსმალეთს საზო-გადოდ. იქნება თვით სტამბოლი აირიოს და ერთი რამ შინაური განხეთქილებაც მოხდეს. ამის ნიშნები წინაც იყო სტამბოლში. ოსმალეთის გულის შემატკივარნი სა-ხელმწიფონი აშკარად მოღვაწე ინგლისი და ჩუმ-ჩუმად მომქმედი ავსტრია—ახლა უფრო გაბედვით გამოვლენ მოედანზედ, რომ შერიგება ჩამოაგდონ და რასაკვირვე-ლია ეცდებიან, რამოდენადაც კი შეიძლება, ოსმალეთს ბევრი არა დააკლონ რა. ხოლო ავსტრიასა და ინგლისს სულ სხვა და სხვა საჭიროება ასაქმებს. ავსტრიის დარდი ის არის რომ რუსეთმა დუნაიზედ და ბალკანის ნახევარ-კუნძულზედ არა შეიმატოს რა, სხვაზედ კი ავსტრია ძალიან ჭმუჭკნას არ დაიწყებს და მაგარზედ არ დადგება. იქნება შავ ზღვაზედ თავისუფალის გზის გახსნასაც ძა-ლიან ყური არ ათხოვოს ავსტრიამ, იქნება ავსტრია თა-ნახმა შეიქმნეს დუნაის სათავეშიაც რუსეთს ფეხი მოაკი-დებინოს და მცირე აზიაში კი აშკარაა არავითარი მი-ზეზი არ დააბრკოლებს, რომ რუსეთმა ფეხი გაიდგას. ინგლისი კი სულ სხვა მდგომარეობაშია ამ შემთხვევაში: მას თვის ვნებად მიაჩნია რუსეთის გამატება ევროპაშიაც და აზიაშიაც. არც ერთგან და მეორეში ინგლისს არ ეჭაშნიკება რუსეთის ფეხის განზედ გადგმა. ამის გამო ინგლისი დიდს ღვაწლს გასწევს, რომ შერიგება ჩა-მოაგდოს იმ საფუძველზედ რაც აღნიშნული იყო სტამ-ბოლის კონფერენციაზედ. დაიყოლიებს ინგლისი რომელ-სამე სახელმწიფოს, თუ არა—აი საგანი, რომელზედაც ეხლა მიქცეულია ევროპიის დიპლომატების ყურადღება. მაგრამ რადგანაც გერმანია ინგლისის მეცადინეობას ეურჩებაო, ამის გამო, ამბობენ დიპლომატები, ინგლისი ევროპაში ვერას გაირიგებსო და მაშასადამე განმარტოე-

ბულ იქმნებაო. ინგლისის პირველ მინისტრს ლორდს ბიკონსფილდს კი დიდი იმედი აქვს, რომ ინგლისის მეცადინეობა ფუჭად არ ჩაივლის. ეს ამას წინად საქვეყნოდ გამოაცხადა კიდეც. რის იმედით ლაპარაკობს ეგრე თამამად ინგლისის მინისტრი? ნუ თუ დრუბელი გროვდება და დროთა ბრუნვა ჭექა-ქუხილს ასტეხს მთელს ევროპაში? ვინ იცის? აი ავსტრიას აკი ჰსწამებენ გაზეთები, რომ ჯარის მოგროვებას შეუდგაო; ინგლისის სამხედრო მინისტრიც მოჰყვა ამ ახლო ხანს ლაპარაკს ჯარის აღჭურვაზედ.

ერთს ჟურნალში „Revue Britanique" მოხსენებულია ის შედეგი, რომელიც ვითომ უნდა მოჰყვეს ოსმალეთის დარღვევასა. თუ ოსმალეთი დაირღვევაო და სრულიად გაუქმდებაო ევროპაში, მაშინ ინგლისი დაიპყრობს კანდიასაო, რომლიდამაც ინგლისი ერთის თვალით სუეცის დიდს არხს უდარაჯებსო და მეორის თვალით მარმარილოსა და შავის ზღვის შესავალ-გასავალსაო. ამ ზღვასთან საფრანგეთს არავითარი საქმე არა აქვს რაო. ხოლო თუ ინგლისმა სუეცის დიდი-არხი ხელთ იგდო და გაისაკუთრაო, მაშინ კი ავნებს საფრანგეთსაო, რომელსაც ჩინეთთან, იაპონიასთან და სხვა აზიის ქვეყნებთან დიდი ვაჭრობა აქვს. ამის გამო ინგლისმა უნდა უსათუოდ განუზიაროს საფრანგეთსაო თვისი მფლობელობა სუეცის არხისა: თვითონ ინგლისმა რომ კანდია დაიჭიროს, საფრანგეთს უნდა კიპრი დაუთმოსო. ეს ადვილად მოსახდომია, რადგანაც მარტო ამ სახით შეუძლიან ინგლისსა საფრანგეთი მოიმხროსო და საფრანგეთის მომხრობა კიდევ იმიტომ არის საჭირო, რომ უსაფრანგეთოდ ინგლისი აღმოსავლეთში ვერას იზამსო. თვითონ კიპრის მცხოვრებნიც დიდის სიამოვნებით მიეცემიან საფრანგეთსაო. ევროპა არ უნდა ეწინააღმდეგოს კიპრის დაპყრობას საფრანგეთის მხრით, რადგანაც ევროპისათვის დიდი საქმეა, რომ სუეცის არხი ერთის სახელმწიფოს ხელში არ დარჩეს განსაკუთრებითაო. თუმცა იტალიას ვერაფრად იამება კიპრის დაჭერა საფრანგეთისაგან, მაგრამ არა გვგონიაო იტალიამ ამის გამო დიდი უჯიათობა გასწიოსო.

—

**საფრანგეთი.** 7 ნოემბერს და ჩვენებურად 25 ოკტომბერს საფრანგეთის დეპუტატთა პალატს მოქმედება დაუწყვია. პრეზიდენტად ამოურჩევიათ გრევი. პალატს გადუწყვეტია, რომ მაკ-მაჰონის სამინისტრო გამოძიებას მიეცეს იმ ბოროტ-მოქმედებისათვის, რაიც მას ჩაუდენია არჩევანის წარმოების დროს. ამ ბოლოს დროს ამბავი მოვიდა, რომ პალატს ამ საგანზედ კამმისსიაც დაუნიშნავს. ვერაფერი დღე დაადგა მაკ-მაჰონს და მის პოლიტიკას. დეპარტამენტის არჩევანიც გათავდა და რესპუბლიკელთ აქაც ასე გაიმარჯვეს, რომ იმედიც არა ჰქონიათ. სამინისტროს უთხოვნია მაკ-მაჰონისათვის სამსახურიდამ დაგვითხოვეო. მაკ-მაჰონს კიდევ უთხოვნია დარჩით ჯერ ხანობითაო და პალატის წინაშე გაამართლეთ ჩვენი პოლიტიკაო. ბევრგან ცდილა მაკ-მაჰონი, რომ ახალი სამინისტრო შეედგინა, მაგრამ როგორღაც ვერ ახერხებს. ამბობენ, ეგ იმისაგან არის, რომ კეთილ-გონიერნი კაცნი ამ არეულობაში სამინისტროში შესვლას ერიდებიანო. ამას წინად გაზეთები ამბობდნენ, რომ ბონაპარტიელს პუიე-კარტიეს იწვევსო მაკ-მაჰონი პირველ მინისტრად და ეხლა ამბობენ, რომ იქნება წინ დაუხედავი და აშკარა მტერი რესპუბლიკისა ღენერალი დიუკრო დადგეს მინისტრადაო.

ასეა თუ არა, რესპუბლიკის წინააღმდეგი დასი, რომელიც ძლიერია სენატში, გულს უკეთებს უთავბოლო მაკ-მაჰონს და ამბობენ კიდეც ვითომც სენატი ხმის უმეტესობით მაკ-მაჰონს და მის სამინისტროს პოლიტიკისაც ქებას გამოაცხადებსო. იქნება საქმე იქამდინაც მივიდესო, რომ სენატი დაეთანხმოს მაკ-მაჰონსაო ამ ახალის პალატის გადაყენებაზედაცაო.

—

**ინგლისი.** ბიკონსფილდმა, ვიდრე თავის სიტყვას შერიგების თაობაზედ წარმოჰსთქვამდა, აცნობა თურმე უცხო სახელმწიფოთა ელჩებს, რომ ამისა და ამის თქმას მინდაო. ამის გამო ელჩები გერმანიისა, რუსეთისა და იტალიისა არ მისულან, თუმცა მიწვეულნი ყოფილან, იმ სიტყვის მოსასმენად. ოსმალოს ელჩი და ავსტრიისა კი დაჰსწრებიან. 31 ოკტომბერს ვინჩესტერში წვეულება ყოფილა და იქ ნორტბრუკს უთქვამს, რომ რუსეთის გამატება და მფლობელობა აზიაში ინგლისს არაფერს ზიანს არ მოუტანსო. ნორტკოტსაც თითქმის ესევე უთქვამს. ნუ თუ ინგლისში ეხლა სხვა ქარმა დაჰბერა? ჩვენ არა გვწამს.

—

**ოსმალეთი.** გაზეთები ამბობენ, რომ სტამბოლში შეთქმულობა აღმოაჩინესო, ვითომ ჰსდომებიათ ეხლანდელი სულთანი ტახტიდამ ჩამოაგდონ და მის მაგიერ ხელახლად დასვან მისი ძმა მურადი, რომელიც შარშან ტახტიდამ ჩამოაბძანესო. დიდი ვეზირის ედხემ ფაშის ბძანებით ბევრი უპირატესნი დიდებულნი შეუპყრიათ ამის გამო და დაუმწყვდევიათ. მიდჰათ-ფაშას მიუწერია სულთანისათვის და ურჩევია, რომ თუ არ ევროპის სახელმწიფოთა შუამდგომლობით რუსეთთან ცალკე საქმეს ნუ დაიჭერო.

---

**ავსტრი-ვენგრია.** რუსის გაზეთს «Голосъ»-ს ვენიდამ ჰსწერენ 5-ს ნოემბერს, რომ აქაურს გაზეთებში ხმა დადისო ავსტრიის ჯარის აღჭურვის და შეგროვების თაობაზედაო; ის ხმაც დავარდაო, ვითომც გალიცის ლაშქრის დათხოვნილს აფიცრებს ბძანება მიუვიდათ, რომ ყველანი თავის ადგილას იყვნენო. მთავრობის კაცნი კი უარ-ჰყოფენ ამ ხმებსაო და ამბობენო რომ ჯარის მოგროვებისათვის არავითარი საჭიროება არ არისო და არც ღონისძიებაო, ვიდრე პალატი არ შეიყრებაო ფულის შოვნაც ვერ მოხერხდებაო. 23 ნოემბერის დანიშნული პალატის შეყრისათვის. იმ დრომდე საქმეთა მდგომარეობა იმოდენად გამოკვლეულ იქმნებაო, რომ შესაძლო იქნება კაცმა ჰსთქვასო, საჭირო არის თუ არა ჯარის შეყრაო.

---

**სერბია.** სერბიამ ყოყმანობა გაათავა და ბოლოს გაბედა ომში ჩარევა. ცნობა მოვიდა, რომ 6-ს ნოემბერის სერბია ომს გამოუცხადებს ოსმალეთსა. წინა ჯარი ღენერალის სვობოდევისა სერბიის საზღვარზედ მისულა, პანდირალის ახლოს; გაზეთის „Tagblat“-ის სიტყვით, ამ ამბავს დიდი სიხარული აღუძრავს სერბიელთა შორის; სერბიელებს ჩვენის ჯარისათვის ძღვენიც მიუტანიათ.

---

## ომის ამბები.

ექვს ნოემბერს ვერან-კალედამ დეპეშა მოვიდა, რომ ჩვენებმა ყარსი იერიშით აიღეს, ომი დაწყებულა ღამის რვა საათზედ და დილის რვა საათზედ შეწყვეტილა.

ამ ამბავმა ელვაზედ უმალეს მოარბინა მთელი ტფილისი ასე რომ ვიდრე ზარბაზნის სროლას დაიწყებდნენ თითქმის მთელმა ქალაქმა იცოდა კიდეც. მეორეს დღეს სიონში სამადლობელი პარაკლისი იყო დანიშნული. რაც ქალაქში დიდკაცობა იყო სულ პარაკლისზედ დაესწრო.

შვიდს ნოემბერს მოვიდა მეორე ტელეგრამმა, რომელშიაც შემდეგი ეწერა: „ყარსი ჩვენს ხელშია. ომი საღამოს ცხრა საათიდამ დაიწყო და დილის ცხრა საათზედ შეჰსწყდა. ჩვენმა ჯარმა საოცარი ვაჟკაცობა გამოიჩინა; ოსმალონი იბრძოდნენ თავგადადებულად. მეციხოვნეთა ნაწილს სურდა გაერღვია ჩვენი ჯარი და ოლთისისაკენ წასულიყო, მაგრამ ცხენოსანმა ჯარმა გზა გადუჭრა. შვიდი ათასი ტყვეა. ტყვედ დარჩენილა ორი ფაშა, მრავალი შტაბ და ობერ-აფიცრები, შტაბის უფროსი, არტილერიის უფროსი, ბაირაღები, სამასი ზარბაზანი, საომარი სამზადისი, ხორაგი და სურსათი. ჩვენი ზარალი ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი. მოკლულ არიან: ღენერალ-მაიორი გარბბე, წინამძღვანი პერნოვის პოლკისა ბელინსკი, პიატიგორსკის პოლკისა—ბუჰყიევი, სტრელკოვისა—გერიჩი. ნაწილი უმთავრესის ჯარისა არზრუმისაკენ მიდის და ნაწილი ყარსში დარჩა მეციხოვნე-ჯარად.

რვას ნოემბერს მოვიდა კიდევ დეპეშა, რომელშიაც ჰსწერია ზემოხსენებულთ ცნობათა გარდა შემდეგი: „დილით (ექვს ნოემბერს) ყარსის მეციხოვნე-ჯარი გამოვიდა და მთებში გაქცევას აპირებდა, მაგრამ ჩვენი ჯარი გარს შემოერტყა და სულ ტყვედ დაინარჩუნა. ჩვენ დაგვრჩა: ათი ათას კაცზედ მეტი ტყვე, სამასამდე ზარბაზანი და აუარებელი საომარი სამზადისი და სურსათი. სამკურნალოებში ოსმალოებს დარჩათ ოთხი ათას ხუთას კაცამდე სნეული და დაჭრილი. ჩვენი ზარალი ორი ათას ხუთას კაცამდეა დაჭრილი და მკვდარი.

ამ სახით ყარსი—ეგ უძლეველი ციხე-სიმაგრე ოსმალთა ჩვენებმა აიღეს. ყარსის აღებით თუ სრულიად არ გათავებულა მცირე აზიაში საომარი საქმე ბევრით მიახლოვებულია გათავებამდე. ეხლა არზრუმის აღებაღა აკლიათ, რომ ძლევა მოსილმა კავკასიის მხედრობამ დიდის ღვაწლის შემდეგ მოი-

სვენოს ამ ზამთრობით მაინც ამოდენა ომისა და სისხლის ღვრისაგან. ყარსში მოცლილი ჯარი არზრუმისაკენ გაუგზავნიათ და იმედია რომ ბევრი ხანი არ გავა, არზრუმის აღების ამბავიც მოგვივა.

— დუნაიაზედ და ბალკანიის ნახევარ კუნძულზედ არაფითარი შესანიშნავი ამბავი არა მომხდარა, მას აქედ რაც გურკომ გაიმარჯვა. ოსმან-ფაშა, რომელიც ეხლა, გაზეთების სიტყვით, პლევნაში მომწყვდეულია, დიდს გაჭირებაშია. ამბობენ მის ჯარს საჭმელი მალე შემოაკლდებაო და ამის გამო ოსმან-ფაშა ან იძულებულ იქმნებაო ტყვედ მიეცეს რუსებსაო, ან კიდევ გაარღვიოს რუსის ჯარი და გავიდესო. რუსის შტაბში დარწმუნებულნი არიან თურმე, რომ ოსმან-ფაშა რუსის ჯარის გარღვევას ვერ გაბედავსო და როცა ჯარისათვის საჭმელი შემოაკლდება, მეტი რა გზა ექნება, თუ ტყვედ არ მოეცემაო. ოსმალოს მთავრობა კი იმედს არა ჰკარგავს ოსმან-ფაშის გამოხსნისას. ამ ახლოხანში სულთანს შეუყრია დიდებულნი და მოულაპარაკნიათ, რომ ჩქარა გაუწყონ და მიაშველონ ჯარი მეჰმედ-ალის, რომლისათვისაც უბძანებიათ ჩქარა წავიდეს ოსმან-ფაშის გამოსახსნელათ მეჰმედ-ალისა და ოსმალ-ფაშის შორის ამბავი მიაქეთ-მოაქეთ იქაურ მცხოვრებელთაო, რომელნიც ღამით ქურდულად გადიან მდინარეს ვიდსაო.

---

## წერილები პეტერბურღიდგან

### წერილი პირველი

23 ოკტომბერს 1877 წ.

წინადვე უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ჩვენის საუბარის საგანი დღეს ერთი იქნება, ხვალ მეორე, და ამასთანავე ყველაზედ ნაკლებ თვით პეტერბურღზედ მოგიყვებით ლაპარაკს. ან რა ეთქმის კაცს პეტერბურღზედ? მართალია ყოველ სატახტო ქალაქს ერთი უმთავრესი თვისება სჭირს, რომლითაც იგი ღირს შესანიშნავია: რაც კი ავი თუ კარგი რამ აბადია საზოგადოებას, რაც კი რამ ჭირი თუ ლხინი მიუნიჭებია ღმრთს ხალხისათვის, რაც კი რამ საცინელი თუ სატირელი, ჭკუა თუ სულელობა, ძალა თუ უძლურობა, სიკეთე თუ ბოროტობა არის გამჯდარი ცხოვრებაში—ყველა ეს სატახტო ქალაქში გამონასკვული, ყველა იქ არის მოგროვილი. თუ ცხოვრება სადმე დუღს ან შიშინებს, ამ შიშინის ხმაურობა უფრო ცხადათ, უფრო გაბედვით სატახტო ქალაქში მოისმის; თუ რამე იძვრის საზოგადოებაში, ამ მოძრაობის ჩარხის ტარი სატახტო ქალაქს უჭირავს ხელში. ამიტომ ყოველი სატახტო ქალაქი როგორც თვისის ქვეყნის გამომხატველი, ღირს-შესანიშნავია და საცნობელი. მაგრამ, პეტერბურღისა კი უკაცრავად.... უკუღმართობასაც ახირება სცოდნია. პეტერბურღი თითქო თავისთვის არის, დანარჩენი თავისთვის. იგი არავის არ ეკითხება, მას აქვს საკუთარი ჭკუა, საკუთარი მსვლელობა, რომელიც, ავია თუ კარგი, არავითარად არ ეკავშირება მის საზღვარ გარეშეულობას. პეტერბურღს ეტყობა განათლება, წარმატება, აზრის დაწინაურება და შორს მსვლელობა, მაგრამ თუ რუსეთს დაუქებთ პეტერბურღში, ვერა ჰპოვებთ. მართალია თვით ყველა ეს თვისებანი ხდიან პეტერბურღს ღირს-შესანიშნავად. მაგრამ საუბედუროდ, სად ვპოვო ის სარკე, რომელშიაც იხატებოდეს პეტერბურღის აზრი და მიმართულება? ის კი ვიცი ნამდვილად, რომ პეტერბურღი არა ჰგავს დანარჩენს რუსეთს, მაგრამ საითკენ არის მიმართული მისი საკუთარი აზრი, ამისი კი რა მოგახსენოთ. მე ვიცი, რომ როდესაც მთელი რუსეთი ხარხარობს, პეტერბურღი მხოლოდ ღიმილობს, ისიც თითქო იმიტომ, უზდელობად არ ჩამომართვანო; მაგრამ გულში რა უღვივის, იმისი კი რა მოგახსენოთ. ვიცი აგრეთვე, რომ როდესაც პეტერბურღის გარშემო ალტაცების ჭექა-გრგვინვა და თავის მტვრევა მოისმის, პეტერბურღიც აცანცარებს ხელებს, მაგრამ უგემურად, თითქო უნებურად, ძალდატანებით. რატომ? — ამისაც რა მოგახსენოთ: ვიმეორებ—სად ვპოვო ის სარკე, რომელშიაც შეეძლოს საზოგადოებას თავისის აზრისა და მიმართულების გულწრფელი გამოხატვა? მაშ დავანებოთ თავი პეტერბურღს და სხვა რაზედმე დავიწყოთ ლაპარაკი. რაზედ? ზემოდ მოგახსენეთ, რომ საუბარის საგანი დღეს ერთი იქნება მეთქი, ხვალ მეორე, ე. ი. ამ წერილებში არავითარი ერთი და იგივე, გრძელი და ერთგვარი საგანი არ იქმნება ჩართული. მართალია, დროთა და ადგილთა ვითარება რომ ვიქონიოთ მხედველობაში, სხვა გვარი ლაპარაკი ძნელიც არის. ჯერ

უნდა მოვახსენოთ, რომ მხოლოდ იმ საგანზედ მსურს ლაპარაკი რომელიც საზოგადოებას შეეხება, რომელიც ასე თუ ისე ერთვის საზოგადოების საერთო ცხოვრებას. ამ გვარ საგანთა შესახებ უნდა მოვახსენოთ, რომ სხვა და სხვა ქვეყანას და სხვა და სხვა დროს წამოყენებულია უმთავრესად ერთი რომელიმე საგანი, რომლისაკენაც არის მოქცეული მთელის ხალხისა და საზოგადოების ყურადღება, და რომელიც შეადგენს ამა და ამ ჟამს მის ცხოვრების დედა-ძარღვს. ამისთანა დროს და ამ გვარ საზოგადოებაში ყოველის კაცის ფიქრი და ზრუნვა, მისი ჭკუა-გონება მიქცეულია ამ საგანზედ; მხოლოდ იგი იტაცებს მთლად მის გულსა და სულს, მაგრამ რა ქმნას კაცმა, თუ კი ბედმა ჩააგდო უგზო-უკვლო, უთავბოლო ცხოვრებაში? რა ქმნას კაცმა, როდესაც არც კი იცის სად არის ამ საზოგადოების აწინდელის დროის დედა-ძარღვი, რომლისაკენაც მიქცეული უნდა იყოს ყოველის კაცის ზრუნვა, ძალა და მეცადინეობა, თუ კი ვერც კი იტყვის: აი სად არის აწინდელის დროს გული, აი რას დასტრიალებს ამ ჟამად ცხოვრება, აი ამ ჟამად რა არის წამოყენებული და რაზედ არის დამოკიდებული ცხოვრების ავ-კარგიანობა და სასიქადულო მომავალი. ამ შემთხვევაში როგორც საზოგადოებაა უგზო-უკვლო, ისე თითოეული გვამია გზა დაბნეული, როგორც ცხოვრებაა უთავბოლო, ისე მწერლობაც.....ვიცი დრო და საზოგადოება, როდესაც და სადაც წამოყენებული ყოფილა უმთავრესად ერთი რომელიმე საგანი, რომელზედაც მიქცეულ-ქმნილა ყოველის გვამის ძალა და მთელის საზოგადოების მეცადინეობა, რომელიც ძალა-უნებურად იტაცებდა ყოველის კაცის გულსა და სულს. მაგალითებრ, საფრანგეთში მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს წამოყენებული იყო საპოლიტიკო თავისუფლების საქმე, რომელიც მთლად იპყრობდა საზოგადოების მოღვაწეობას; ყველა, დიდიდამ პატარამდე, დარწმუნებული იყო, რომ თავი და თავი საქმე, დედა-საჭიროება საპოლიტიკო თავისუფლებაა; დარწმუნებული იყო, რომ უიმისოდ ყოველგვარი წარმატება, მცირე რამ ფეხის წადგომა შეუძლებელი იყო. აი კიდევ, მაგალითებრ, იტალიის პატარა სახელმწიფონი ვიდრე შეუერთდებოდნენ ერთი ერთმანეთს. ყველა ამ სახელმწიფოთა ხალხი შეწუხებული და დაჩაგრული იყო თვის მთავრობისაგან და ვიდრე არ აიყრიდა თავიდგან ამ სატანჯველს, სიცოცხლე მისთვის შეუძლებელი იყო. რადგანაც თვითოეული ხალხი ამ გვარ მძიმე ღვაწლს მარტოდ-მარტო ვერ იტვირთებდა, ამიტომ აუცილებელი იყო ერთი-ერთმანეთის დახმარება და შეერთება. აი მოვიდა დრო და მთელს იტალიას, დიდიდამ პატარამდე, მხოლოდ ერთი წადილი აუშალა გულში და მხოლოდ ერთი მოძრაობა მოედო თავისუფლების დაცვისათვის. სრულიად აუსრულდა იტალიის ხალხს თვისი წადილი თუ არა, სრულიად დაიმკვიდრა ხალხმა თავისუფლება თუ არა—ეს სხვაა. მაგრამ საქმე ის არის, რომ იქაც ერთსა და იმავე დროს ყოველს კაცს ესმოდა სად იყო იმ ჟამად ცხოვრების დედა-ძარღვი, რომელზედაც დართული იყო სასიქადულო მომავალი. აი თუნდ კიდევ რუსეთი ამ ოცის წლის წინედ, როდესაც წამოყენებული ბატონ-ყმობის საქმე. მაშინ ყველა დარწმუნებული იყო, რომ ვიდრე ეს დედა-ჭირი, ბატონ-ყმობა მიწიანად არ მოისპობა, შემდეგი წარმატება შეუძლებელია. ამ საქმემ დაბადა ცოცხალი მოძრაობა საზოგადოებაში, ბევრი კეთილშობილი იმედი აუშალა გულში. გამართლდა ეს იმედი თუ არა, ეს სხვაა. მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ იყო დრო, როდესაც ერთი და იგივე ნაპერწკალი ბრწყინავდა გულში, როდესაც კაცმა იცოდა, რომ თუ არის რამე კიდევ ეს ნაპერწკალია მომავლის საქადელი და მას უნდა ათხოვოს ყოველი წუთი თვის სიცოცხლისა.

ნეტავი იმას ვინც დასწრებია ან დაესწრება ამისთანა დროს და ცხოვრებას. მაშინ სიცოცხლე ცხადია და ნათელი. კაცმა იცის სად მიაქანებს ცხოვრების ტალღა და თავისუფლად, გულწრფელად მიეცემა მის მიმდინარეობას. მაშინ ყოველგვარი მომქმედი ძალა—ჭკუა, გრძნობა, სიტყვიერება—დასტრიალებს წამოყენებულს საგანს. ვიცი კიდევ დრო და საზოგადოება მიძინებული, სულ-ჩამქრალი და ღონე მიხდილი, სადაც არავითარი საერთო მოძრაობა არ სწარმოებს, იმისთანა, რომ შეძლოს კაცის გულის გატაცება, მისის სულის ამაღლება. რას მიმართოს კაცმა უმთავრესად თვისი ყურადღება? რაზედ დაამყაროს თვისი იმედი და სასოება, საიდგან ელოდოს ბედნიერს მომავალს? უგზო-უკვლო, გზა-დაბნეულ ცხოვრებაში კაცი ხან აქეთ ეცემა, ხან იქით....მაშ ნუ დამემდურები, ჩემო მკითხველო, და აჰყევ ჩემს ტანტალს ჩვენსა და უცხო ცხოვრების სხვა და სხვა მოვლენათა შორის.

„აღმოსავლეთის ანუ სლავიანთა საქმეო„? მეტყვის მკითხველი. „აი აწინდელის დროის ქვა-კუთხეო, აწინდელის ცხოვრების დედა-ძარღვიო." მართალია ამ ჟამად მხოლოდ ომიანობა იპყრობს ქვეყნის ყურადღებას, მხოლოდ ომიანობა არის გამჯდარი შინაგან ცხოვრებაში, მხოლოდ ზარბაზნის გრიალი უფრთხობს ძილს დამშვიდებულს ხალხს და საზოგადოებას. მაგრამ....მაგრამ მაინც რა ვუყო ჩემს ეჭვით სავსე გულსა და როგორ არ ვიკითხო, თუ სად არის ის დედა-საქმე, ის სიცოცხლის ძარღვი, რომელზედაც დამოკიდებულია საყოველთაო კეთილდღეობა და რომელიც მოასწავებს საბედნიერო მომავალს? ვეცდები უსაფუძვლოდ არ გეჩვენოს, მკითხველო, ეს ჩემი კითხვა. შემდეგ წერილში მოგახსენებთ აწინდელს ომიანობაზედ, თუმცა ომი ჯერ არ გათავებულა და მისი დასკვნა შემდეგშია, მაგრამ მაინც გუშინდელმა წარსულმა ბევრმა შესანიშნავი რამ აღმოაჩინა, რომელიც ცოტად თუ ბევრად გვიხატავს „სლავიანთა საქმეს" რუსეთში. მაშინ მკითხველი იქმნება დამეთანხმოს, რომ მართლა და ამ „საქმის" მაყურებელს არავითარი ნუგეში არ ემატება და მაინც შეუძლიან ზემოხსენებული ეჭვი და კითხვა დასდვას.

---

## გლეხური ლექსები

I.

დასაბამიდამ დავიწყოთ, თუ ქვეყანაზე რა არის:
ქვეშ ხომ დედა-მიწა არის, ზეიდგან გვიყურებს ცა არის,
ადამის შვილი ჩამოდის ათას ფერადი სხვა არის.

II.

ჯოჯოხეთი თუ სამოთხე—ჩვენ ორივ ხელში გვიჭირავს
აზრაელი დაგვადგება ხელში ჩანგლები უჭირავს;
ცოდვის-მადლის გამრჩეველსა ხელში სასწორი უჭირავს.

III.

როცა მოკვდები მოქრთამევ, გნახამ ვილაც გიტირავს;
მღვდელს მისცემენ საწირავს, შენ მღვდელი გიტირავს:
მადლის საქმეს არა შვრები, ცოდვისკენ თვალი გიჭირავს.

IV.

ავ-კაცი სწუხს და სტირის ცრემლი ჩამოდის თვალზედან
ნეტამც არ გაგჩენილვიყავ არ მევლო ქვეყანაზედან,
სულ ენით მიწა მელოკა, ძაძა ჩამეცვა ტანზედან!...

V.

შენ, ერის თავო, დიდი მთისაო,
წყალი მოგიდის არაგვისაო
აგი გეტყოდი, ბატონო ჩემო,
ყიდვა ნუ იცი შენის ყმისაო!

(მოგრ. ს. ბაგრელისაგან.)

---

## ჩვენის ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა *)

(დასასრული **)

„ხალხს მხოლოთ განათლებით შეუძლიან გამდიდრდეს და გონივრად გამოიყენოს თავის შრომის ნაყოფი."

ლაველე.

„ცოდნა არს ძლიერება ანუ ძალა."

ბეკონი.

„იგი არს საძირკველი ხალხის კეთილდღეობისა."

ვივერშამ.

VI

ნუ თუ ჩვენ კიდევ უნდა ვეძიებდეთ სხვა და სხვა სახსრებს მეურნეობის გასავრცელებლად, როდესაც საქართველოს დედა-ქალაქში იმყოფება მთელი საზოგადოება იმ განზრახვით, რომ შემოიტანოს მიწის გონივრული მუშაობა, სხვა და სხვა მცენარეების გავრცელება, ღვინის უკეთ კეთება, ერთი სიტყვით იმ განზრახვით რომ მეურნეობა დააფუძნოს იმ საძირკველზე, რა საძირკველზედაც იგი დგას დასავლეთ ევროპაში? უბედურობა ის არის, რომ ეს საზოგადოება ოცდა-ხუთი წელიწადია მოქმედებს და ამის მოქმედებას მაგდენი არაფერი სარგებლობა მოუტანია. ეს აღიარა თვით ამ საზოგადოების „სეკრეტარმა," უფ. ხატისოვმა საზოგადოების წინაშე. საზოგადოებას ოცდა-ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ ის უკეთებია, რომ ურიგებია შესაწევარი ფულები სხვა და სხვა ახალ-მოსულებისათვის, უბოძებია ოცი-ათასი მან. (20,000) ერთის ვილაც ნემეცის ადამსისათვის, ხუთმეტი ათასი (15,000) ფრანციელის დიუფორისათვის, თორმეტი ათასი (12,000) ინგლისელის ვალისათვის, ოცი ათასი მანეთი (20,000) ბარონ კუჩენბახისთვის და კიდევ

---

*) წინა ნომრის წერილში შეცდომა მოხდა: იქ სწერია: «ვის არ გაუგონია დროჟკის ანდრია კაპანაძის სახელი, ანუ კიდევ სახლის მოწყობილობის—მებელის მკეთებლის-მე? ამის მაგიერ უნდა იყოს: ვის არ გაუგონია დროჟკის ანდრია კაპანაძის სახელი ანუ კიდევ სახლის მოწყობილობის-მებელის მკეთებლის დავით გიგაურიშვილის.

**) „ივერია" №№ 33, 34 35 და 36.

რამდენიმე ათასი თუმანი სხვა და სხვა გაუმჯობესებისა-თვის. ახლა იკითხეთ, თუ ამისთანა ხელ-გაშლილს შესაწევარს, ამისთანას უხვად გაცემას რა სარგებლობა მოუტანია ჩვენის მხვნელ-მთესველებისათვის? არაფერი. ამას ადიარებენ თვითონ საზოგადოების წევრნიცა. იმას გარდა, რომ საზოგადოებას თვის მიზნად ჰქონია ქვეყნის სიკეთის სურვილი, სხვა და სხვა ევროპიულ ნივთის გამოფენაშიაც მონაწილეობა რამდენჯერმე მიუღია. მაგრამ საუბედუროთ, არც ამ გვარ მოქმედობას მოუტანია სარგებლობა ჩვენის მეურნეობისათვის. ასე, კავკასიის, სამეურნეო საზოგადოებას ოცდა-ხუთი წლის განმავლობაში უმოქმედნია, მაგრამ უმოქმედნია იმ გვარათ, რომ ჩვენის მხარესთვის არავითარი სარგებლობა არ მოუტანია. საზოგადოების აწინდელი „სეკრეტარი“ დიდ იმედს იძლევა, რომ მომავალში საზოგადოებაც ეცდება სარგებლობა რამ მოუტანოს ჩვენს მხარესა. რასაკვირველია დიდათ საამური იქმნება, რომ ეს იმედი აუსრულდეს, მაგრამ მე კი საეჭვოთ მიმაჩნია. რასაკვირველია შესაძლებელია, რომ საზოგადოებამ, უფ. „სეკრეტრის“ სიტყვით და რჩევით მიიწვიოს მხარის მცოდნე კაცები და ამათის დახმარებით ცოტ-ცოტაობით მაინც გაარიანათ გაიცნოს მეურნეობის მდგომარეობა ჩვენ ქვეყანაში; შეადგინოს მშვენიერი ბიბლიოთეკა და ჰბეჭდოს დრო-გამოშვებით წიგნები, სადაც მოიხსენიოს სხვა და სხვა ღონისძიებანი მეურნეობის გასამჯობინებლად, წინ-წასაწევათ; კარგი თხზულებების დამწერთ დანიშნულ საგნებზე აძლიოს ჯილდოები. აგრეთვე შესაძლებელია, რომ საზოგადოება დაეხმაროს დრო-გამოშვებით გამოფენის გამართვასა და აძლიოს საჩუქრები იმათ, ვინც გამოფენაზე წარმოადგენს შესანიშნავ და უკეთესს ნამუშავარს; აგრეთვე შესაძლოა, რომ საზოგადოებამ გამართოს ცალკე სამეურნეო სასწავლებელი პრაქტიკულის მიმართულებით; მაგრამ ჩვენ ხალხს კიარა მოეცხობა რა ყოველ ამისგან. გლეხი ვერც წიგნით ისარგებლებს, ვერც სხვა ღონისძიებებით. ყველა ეს ღონისძიებანი შეიძლება მოუხდეთ დიდის მამულების პატრონებს; მაგრამ ჩვენ გლეხ-კაცობას კი, ე. ი., იმას ვინც თვითონ მუშაობს, თვითონ ხნავს, ჰსთესავს, ჰბარავს, ჰსხლავს, ჰკელავს, ვენახს უვლის, მისდევს ხარ-კამბეჩს, ძროხებს, ცხვრებს, ღორებს—ერთის სიტყვით—ვინც თვითონ ირჯება, ის ვერასოდეს ვერ გამორჩება ზემოხსენებულ ღონისძიებას. იმ სახელმწიფოების მიბაძვა, სადაც მეურნეობამ გაიწია დიდის მამულების პატრონების წყალობით, ჩვენ ხელს არ მოგვცემს და არც იმისთანა მამულების პატრონები გვყავსან, როგორც, მაგალითებრ, ინგლისში. ჩვენ მეურნეობა უნდა გავავრცელოთ ხალხში და მცირე მამულების პატრონებ შორის. მხოლოდ ვისაც დიდი დედულ-მამული აქვს, იმას ჩვენი შემწეობა სრულებით არ უნდა, იმას უჩვენოდაც შეუძლიან მიიწვიოს დახელოვნებული აგრონომი და იმის შემწეობით საქმე კარგად წაიყვანოს. აგრეთვე შესაძლებელი საქმეა, რომ სამეურნეო სასწავლებელმა პრაქტიკულის მიმართულობით სარგებლობა რამ აღმოუჩინოს ჩვენ ხალხს, მაგრამა აი რა უნდა ვიქონიოთ სახეში. ჩვენში მხოლოთ სიტყვით ვარქმევთ სახელს ანუ სიტყვით ვეძახით „სასწავლებელს პრაქტიკულის მიმართულებით, საქმით კი თეორიის სასწავლებელია“. ამას გარდა განა შესაძლებელი საქმეა, რომ ერთსა და იმავე სასწავლებელში მიწის მუშაობის ყველა ნაწილები იმ ხარისხზე დაეყენოთ, რა ხარისხზედაც დგას დასავლეთ ევროპაში! ან საიდამ მოიყვანოთ იმისთანა კაცებს, რომლებმაც ზედმიწევნით იციდნენ მეურნეობის საქმე? ნუ თუ ამ საქმეს მივანდობთ იმ მწიგნობართ სწავლულებს, რომლებიც მხოლოდ ბევრ ფულებს ჩაჰყლაპავენ და ჩვენს მეურნეობას კი წინ ფეხსაც არ წაადგმევინებენ. ვიმეორებ სამეურნეო სასწავლებელს, პრაქტიკულის მიმართულობით, შეუძლიან სარგებლობა მოუტანოს ჩვენ სამშობლოს. მაგრამ შიში იმაში მდგომარეობს, რომ სასწავლებელი პრაქტიკულის მიმართულებით მალა-უნებურად ადვილად გადაიქცევა სასწავლებლად თეორიის მიმართულებით და მაშინ ჩვენის ხალხისათვის შეიქმნება სრულებით უსარგებლო. რასაკვირველია, თუ ნამდვილ სამეურნეო სასწავლებლებს ნამდვილის პრაქტიკულის მიმართულობით დააფუძნებენ საქართველოს სხვა და სხვა ადგილას და ამ სასწავლებლებში დახელოვნებულ მუშებს დააყენებენ საწრთვნელად ჩვენის ყმაწვილებისა, რომელთაც სასწავლებელში კურსი შესრულებული ექმნებათ, მაშინ მალე გავრცელდება ხალხში მეურნეობის ცოდნა. მაგრამ საზოგადოებას არა აქვს ეს აზრათ და ამის აღსრულებას ვერც შეიძლებს.

ასე, თუ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ წარსულ წელიწადებში მაგდენი კეთილი სარგებლობა მოიტანა და მომავალშიაც იქიდამ, რაც წარუდგინა აწინდელმა უფ. „სეკრეტარმა" საზოგადოების წევრთა, ჩვენს ხალხს არა მიეცემა რა, თუმცა კი მეცნიერების სასარგებლოთ ბევრი რამ კარგი წარმოსდგება, მაშასადამე ჩვენ თვითონ უნდა მოვიფიქროთ და ვიტვირთოთ მეურნეობის ცოდნის გავრცელება ჩვენს ხალხში. ფურის წაყრუება ამისთანა საქმეში ჩვენ ხელს არ მოგვცემს.

ვინ არ იცის, რომ ხალხში ძრიელ მოქმედობს მიბაძვა და რასაც ხეირიანს რასმე აკეთებს ერთი გლეხი, მეორეც მიბაძავს; რომ გლეხები ცდილობენ ერთი-ერთმანეთს არაფერში ჩამორჩნენ; რომ გლეხები რასაც კარგს თვალით ხედავენ, იმას მალე ისხომებენ, და ცდილობენ თვითონაც გააკეთონ. წარმოიდგინეთ, რომ რომელიმე გლეხმა ისწავლა წითელის კომბოსტოს მოყვანა და თავისი ნამუშავარი კარგა ფასად გაჰყიდა. ნუ თუ იფიქრებთ, რომ მეორე წელიწადს ეს კომბოსტო სხვა გლეხებმაც არ მოიყვანონ. აგრეთვე ვთქვათ თამბაქოს დათესვამ ანუ მოყვანამ მისცა ხელი რომელსამე გლეხს; მეორე წელიწადს სხვა გლეხებიც უთუოდ შეეცდებიან კარგი თამბაქო მოიყვანონ და კარგ ფასად გაჰყიდონ. ერთის სიტყვით—გლეხებში ერთი-ერთმანეთის მიბაძვა და მხედველობით მოქმედება ძლიერია. თვითეულ სოფელში რომ გამოჩნდეს თითო მეურნეობის მცოდნე გლეხი, ბევრი ხანი არ გაივლის, რომ მთელ მაზრაში გავრცელდეს მეურნეობის ცოდნა. აგრეთვე, აბა თამამი და გონებით გახსნილი გლეხი წაიყვანეთ და გაუშვით სამუშაოდ იმ ადგილას, სადაც მეურნეობის საქმე კარგა მიდის, თქვენ ნახავთ, რომ ეს გლეხი, ორის წლის განმავლობაში რასაც თვალით ნახავს და რაზედაც იმუშავებს, ყველაფერს შეისწავლის. რაღა თქმა უნდა, რომ ეს გლეხი როცა თავის ქვეყანაში დაბრუნდება, თავის სწავლას მოახმარებს მამულის უკეთესად შემუშავებას.

თუ ეს ასეა, მაშ ჩვენ უნდა ვეცადოთ მოვდოთ საქართველოში მეურნეობის მცოდნე მუშები. მხოლოდ ამის ასრულება შეიძლება შემდეგის სახით: ზემოდ ვაჩვენე, თუ როგორ უნდა მოიწყოს სასოფლო სასწავლებელნი. ამ გვარ სასწავლებელში კურს შესრულებულებ შორის უნდა ამოვარჩიოთ ხოლმე თამამი, ნიჭიერი, ჯანმრთელი ყმაწვილები, უფრო მამულიანის კაცების შვილები და გავგზავნოთ დასავლეთ-ევროპიის სახელმწიფოების იმისთანა ადგილებში, სადაც მეურნეობის რომელიმე ნაწილი კარგად მიდის, რომ რა არი ზოგმა მათგანმა შეისწავლოს ღვინის დაყენება, ანუ ვენახის მუშაობა, ზოგმა ჭიის მოვლა და აბრეშუმის გაკეთება, ზოგმა ხესილების მოვლა, ზოგმა თამბაქოს მოყვანა, ზოგმა კიდევ სხვა და სხვა სოფლიური საქმე. ჩვენმა ყმაწვილებმა თვითონ უნდა იმუშაონ ფერმებში სამ-სამის წლობით მაინც და ამ ხნის განმავლობაში, რაღა თქმა უნდა, თვითეული მათგანი მოასწრობს შეისწავლოს ის თვალით ნახული, თავისითვე გამოსაცდელი საქმე, რომელზედაც ის იქმნება მიჩენილი. ფერმების პატრონები ჩვენ ყმაწვილებს, რასაკვირველია, მიიღებენ, მხოლოდ ჩვენის ხარჯით კი. თითო ყმაწვილის შენახვა ფერმაში რაც უნდა ბევრი დაჯდეს ჩაცმა-დახურვით და სმა-ჭამით ორ თუმანზე მეტი თვეში არ დაჯდება. მაშ წელიწადში თუ ათი ყმაწვილი იგზვნა საზღვარ გარეთ, პირველ წელიწადში ათი ყმაწვილის შენახვას მოუნდება 2,400 მან. წასვლაზედაც 700 მანეთი; მეორე წელიწადს ოცი ყმაწვილის შენახვას 4,800 მან. და ათი ყმაწვილის წასვლაზე კიდევ 700 მანეთი; მხოლოთ მესამე წელიწადს ოცდა-ათი ყმაწვილის შენახვას 7,200 მან. და 700 მან. კიდევ ათი ყმაწვილის გაგზავნაზე დაიხარჯება. რადგანაც ყოველ მესამე წლის ბოლოს ათ-ათი ნასწავლი, მეურნეობაში დახელოვნებული ყმაწვილი უნდა დაბრუნდეს ხოლმე, ამისათვის ამ მესამე წელიწადის ბოლოს 700 მან. ათი ყმაწვილის დაბრუნებაზე საზღვარ-გარეთიდამ დაიხარჯება. ასე, პირველ სამის წლის შემდეგ ყოველ წლივ ოცდა ათი ყმაწვილის შენახვაზე სხვა და სხვა ფერმებში დაიხარჯება 7,200 მან. და 1,400 მან. ოცი ყმაწვილის მგზავრობაზე, რადგანაც ათი საქართველოდამ უნდა გაიგზავნოს და ათი კიდევ საზღვარ გარეთიდამ უნდა დაბრუნდეს ხოლმე. ეს ფული რომ ერთად შევკრიბოთ, შეადგენს 8,600 მან. მართალია კარგა ფულია, მაგრამ ყოველ წლივ დაგვიბრუნდება ჩვენ ათ-ათი თავიანთ საქმეში დახელოვნებული მუშა კაცი. სამი წლის შემდეგ საქართველოს მხვნელ-მთესველებს თავიანთ შორის ეყოლებათ ისეთი კაცები, რომლებიც თავიანთის მოქმედებებით, თავიანთის ცხოვრებით, თავიანთის მოსაზრებით არაფერში ჩამოუვარდებიან დასავლეთ-ევროპიის მუშა ხალხს და მათი რიცხვი რამდენიც ხანი გავა, იმდენს იმატებს,

რადგანაც ყოველ წლივ დაბრუნდებიან სამძღვარ გარეთიდამ ათ-ათი კაცი. რაღა თქმა უნდა, რომ ესენი თავიანთ მოძმეებ შორის ადვილად გაავრცელებენ მეურნეობის ცოდნას, შეიქმნებიან მათი წინამძღომელნი, მათი წინა-მორბედნი მეურნეობის საქმეში. ძრიელ შესაძლებელია, რომ ამ სახით ხუთი ანუ ექვსი წლის განმავლობაში გლეხებმა იმდენი ცოდნა შეიძინონ დახელოვნებულის მუშებისაგან, რომ მათი ყოფა-ცხოვრება ძალზე შეიცვალოს.

ეჭვი არ არის, რომ თუ ზოგიერთი გურს შესრულებულები სასოფლო სასწავლებელში გავგზავნეთ სამძღვარ გარედ გამოჩენილ ფერმებში სამუშავოდ, ძრიელ სასარგებლო საქმე იქმნება ჩვენის ხალხისათვის. მაგრამ ვინ იტვირთებს ამ საქმეს და ვინც იტვირთებს—სად უნდა იშოვნოს იმოდენა ფული, რომ გაუძლვეს იმ ხარჯს, რა ხარჯსაც მოითხოვს მოხსენებულის საქმის აღსრულება? რასაკვირველია, ამის აღსრულებას უნდა შეუდგეს მთელი საზოგადოება და ამ საზოგადოებას უნდა დაერქვას შემდეგი სახელი: საზოგადოება განათლებისა, ხელოსნობისა დი მეურნეობის გავრცელებისა თფილისის გუბერნიის გლეხთა შორის.[1] ამ საზოგადოებამ უნდა იკისროს როგორც სასწავლებლების საქმე, ისე ხელოსნობის და მეურნეობის გავრცელება საქართველოში მოხსენებულის შუამავლობით. მე დარწმუნებული, ვარ რომ საქართველოს ყველა კუთხეში, საქართველოს ყველა მხარეში ასობით არიან იმ გვარნი პირნი, რომელნიც ნათლად გრძნობენ ჩვენის ხალხის საძაგელ მდგომარეობას და ჰფიქრობენ, თავიანთის მხრით რა და როგორ უშველონ. ვიმეორებ, მე დარწმუნებული ვარ, რომ რა წამს გამოაცხადებთ—ესა და ეს საზოგადოება იმართება ამა და ამ განზრახვით, ბევრი ხანი არ გაივლის, რომ რამდენიმე ასი კაცი მიიღებს მონაწილეობას ამ საქმეში; რომ ყველას, ვისაც კი ხალხის კეთილ-დღეობა ძვირად უღირს შეუდგება ბეჯითად ამ საქმის ხელის შეწყობას ყოველ მხრივ და ყოველ გვარად.

ვსთქვათ—გაიმართა საზოგადოება და ამისი წევრთა რიცხვი არის ექვსასი (600) კაცი; მაშასადამე საზოგადოებას ექნება ექვსასი თუმანი, თუ წევრის ფული იქნება წლიწადში ერთი თუმანი. ამას გარდა, ეჭვი არ არის, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოება მიიღებს მონაწილეობას და, იმის მაგივრათ, რომ სხვა და სხვა გარმიანელებს ურიგოს შესაწევარი ფულები სრულებით უსარგებლოთ, იკისრებს რამდენიმე ყმაწვილის ხარჯს, ანუ ფულათ გამოადგება მამავალ საზოგადოებას—ორას თუმანს ხომ გადასდებს და გადასდებს მოხსენებულის კეთილის საქმისათვის. დაუმატეთ ამას ისიც, რომ სოფლის ბანკებიც არა დაზოგავენ ფულს მეურნეობის გავრცელებისათვის და ესენიც რამდენსამე თუმანს ყოველ წლივ შეაწევენ ზემოთ მოხსენებულ საზოგადოებას. რაღა თქმა უნდა, რომ თავად-აზნაურობის ბანკიც აღმოუჩენს შემწეობას და ამ საქმეში უკან არ დაიწევს. ერთის სიტყვით, განათლების, ხელოსნობის და მეურნეობის გავრცელების საზოგადოება თფილისის გუბერნიის მხვნელ-მთესველებს შორის ყოველგან შეიძლებს მოიპოვოს სხვა და სხვა სახსრები იმოდენა ფულის საშოვნელად, რომ თავისი მიზანი ბეჯითად და შეურყეველად აასრულოს.

ამ სახით, რაც ფულს შეეხება საზოგადოების მოქმედება სრულებით შესაძლებელია. რაც შეეხება საზოგადოების შინაგან განწყობილებას, სახელდობრ მას, თუ რაგვარი წესდებანი უნდა შედგენილ იქმნას, რომ საწადელი აუსრულდეს, რა სახით შეიტყოს ნამდვილი ამბავი გამოჩენილ ფერმებზე დასავლეთ ევროპაში,—როგორ უნდა მოეწყოს ზოგის ყმაწვილის სამზღვარ გარედ გაგზავნა, ზოგის აქავ მიბარება გამოჩენილ ხელოსნებთან,—ყველა ამას და სხვა საჭირო საგანსაც თვითონ საზოგადოება გამოიკვლევს, თუ ბედი გვეწევა და ეს საზოგადოება დაიბადა. მე მხოლოდ აქ ის უნდა ვთქვა კიდევ, რომ დრო არის თვითონ ჩვენ ვიფიქროთ ჩვენ თავზე, ჩვენის ხალხის ყოფა-ცხოვრების წინ-წაწევაზე და მის მომავალ ბედზე; დრო არის თვითონ ჩვენ ჩავჭიდოთ ხელი განათლების, ხელოსნების და მეურნეობის გავრცელებას და ყოველ ნაბიჯზე ვიგულისხმოთ, რომ ცოდნა არის საძირკველი ხალხის კეთილ-დღეობისა. უნდა გვახსოვდეს, რომ ყურის წაყრუება და სხვის იმედი ჩვენ ხეირს არ დაგვაყრის.

ქვემო ქართლელი.

26 მარიამობისთვეს 1877 წ.
გავთისხევი.

---

1) რაღა თქმა უნდა, რომ ამგვარივე საზოგადოება უნდა შედგეს ქუთაისის გუბერნიაში. ავტორი.

# განცხადება

## თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკი.

გამგეობა ზემოხსენებულის ბანკისა უმაღლესად დამტკიცებულის ამა ბანკის წესდების § 16 ძალითა ამით აცხადებს, რომ 13-ს დეკემბერს 1877 წ. ბანკის სადგომში, ქალაქს თბილისში, სოლოლაკის ქუჩაზედ, გორლანოვის სახლში ისყიდება საჯაროს ვაჭრობით უძრავი ქონება ქვემოხსენებულთა პირთა, რადგანაც მათ არ შემოუტანიათ ბანკიდამ აღებულის ვალის გადასახდელად ვადის ფული, დაწესებული წესდების §§ 29, 30, 34 და 36 მუხლითა.

ტერ-მკტჩიანც, ქრისტეფორე ნიკიტის ძე. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველგვარის შენობითა და მიწითა ზომით $634\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხე საჟენი, ქ. ტბილისში, 2 განყოფილების 12 ნაწილში, ჩუღურეთში, ნიკოლაევის ქუჩაზედ. ვალის თავნია 78,734 მანეთი და 88 კაპეიკი, შემოსატანია ბანკში 3,927 მანეთი და 40 კაპ.—სულ 82,662 მან. და 28 კ.

ზემიანსკისა, ნატალია ივანეს ასული. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ყოველგვარის შენობითა და მიწით ზომით 518 ოთხ-კუთხე საჟენი, ქ. თბილისში, 2 განყოფილების 10 ნაწილში, ნემეცების კოლონიაში, ბაღის ქუჩაზედ. ვალის თავნია 5,230 მან. და 56 კ. შემოსატანია ბანკში 234 მან. და 61 კ.—სულ 5,465 მან. და 17 კ.

სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასული. ა) ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და ბ) ორი სამ-სართულიანი, ორი ორ-სართულიანი და თერთმეტი ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები. ქ. თბილისში, ა) 1 განყოფილების 1 ნაწილში და ბ) 2 განყოფილების 14 ნაწილში. ვალის თავნია 17,435 მან. და 21 კ. შემოსატანია ბანკში 874 მან. და 60 კ.—სულ 18,309 მან. და 81 კ.

თეთრაძე, გლახა ზურაბის ძე. ა) სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სამ-სართულიან შენობითა და ბ) ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ერთ-სართულიანის სამზარეულოთი და მიწით ზომით 125 ოთხ-კუთხე საჟ. ქ. ტფილისში, 1 განყოფილების 1 ნაწილში, დავიდოვის ქუჩაზედ. ვალის თავნია 6,446 მან. და 99 კ. შემოსატანია ბანკში 389 მან. და 53 კ.—სულ 6,836 მან. და 52 კ.

პავლიევი, იაკობ სვიმონის ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველ გვარის შენობითა და მიწით ზომით 72 ოთხ-კუთხე საჟ. ქ. ტფილისში 1 განყოფილების 5 ნაწილში, ნემეცების ქუჩაზედ. ვალის თავნია 5,860 მან. 31 კ. შემოსატანია ბანკში 202 მან. და 20 კ.—სულ 6,169 მან. და 11 კ.

ამილახვრები, კნ. ივანე და კნეინა ელისაბედ თეიმურაზის ძენი. სახნავი და საძოვარი მიწები ზომით 151 დესეტინა 1,756 ოთხ-კუთხე საჟ. გორის მაზრის სოფ. ნაწრეთში. ვალის თავნია 3,481 მან. და 67 კ., შემოსატანია ბანკში 159 მან. და 79 კ.—სულ 3,641 მან. და 46 კ.

აბხაზი, კნ. ირაკლი კონსტანტინეს ძე. სახნავი, სათიბი და საბაღო მიწები, ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლით, ეზოთი და ხე-ხილიანის ბაღით ზომით სულ 177 დესეტინა და 7 ოთხ-კუთხე საჟ. ტფილისის მაზრის სოფელ თხინვალში. ვ-ლის თავნია 5,968 მან. და 62 კ. შემოსატანია ბანკში 265 მან. და 24 კ.—სულ 6,233 მან. და 86 კ.

ერისთავი, კნ. გიორგი (კიაზო) გიორგის ძე. სახნავი, სათიბი და საძოვარი მიწები და ტყე ზომით 800 დესეტინა. თიანეთის მაზრის სოფელ ბოჭორმას. ვალის თავნია 4,775 მან. 1 კ., შემოსატანია ბანკში 134 მან. და 31 კ.—სულ 4909 მან. 32 კ.

ბებუთოვი, დავით მელიქსედის ძე. საძოვარი მიწები ტყით და ხე-ხილიანის ვენახით ზომით 208 დესეტინა 378 ოთხ-კუთხე საჟ. ტფილისის მაზრის სოფ. წყნეთში. ვალის თავნია 4,476 მან. და 45 კ., შემოსატანია ბანკში 200 მან. 84 კ.—სულ 4,677 მან. 29 კ.

გაბაევი, ანდრია მიხაილის ძე. სახნავი და საძოვარი მიწები და ტყე ზომით 106 დესეტინა 320 ოთხ-კუთხე საჟ. თბილისის მაზრის სოფ. ერტისში. ვალის თავნია 4,973 მან. და 85 კ. შემოსატანია ბანკში 57 მან. და 21 კ.—სულ 5,031 მან. და 6 კ.

ზანდუკელი, ოტია გიორგის ძე. სახნავი მიწა ზომით 80 დესეტინა. თიანეთის მაზრის სოფ. ბაკნიანთ-კარს. ვალის თავნია 797 მან. და 97 კ. შემოსატანია ბანკში 48 მან. და 86 კ.—სულ 846 მან. და 83 კ.

თარხან-მოურავისა, კნეინა მარიამ ბიძინას ასული. სახნავი და სათიბი მიწები და ტყე ზომით სულ 545 დესეტინა 1,645 ოთხ-კუთხე საჟ. გორის მაზრის სოფ. ცხავერში. ვალის თავნია 6682 მან. და 99 კ. შემოსატანია ბანკში 291 მან. და 23 კ.—სულ 6974 მან. და 22 კ.

ადამაშვილი, გიორგი ადამის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ერთ-სართულიანის შენობითა და მიწით ზომით 90 ოთხ-კუთხე საჟ. ქ. თბილისს, 1 განყოფილების 1 ნაწილში, ვალის თავნია 270 მან. შემოსატანია ბანკში 27 მან. და 46 კ.—სულ 297 მან. და 46 კ.

საყვარელიძე, მინადორ ზურაბის ასული. სახნავი მიწა ზომით 25 დესეტინა 600 ოთხ-კუთხე საჟ. გორის მაზრის სოფ. ზენოტში, ცოცხნარში და ზინდისში, ვალის თავნია 500 მან. შემოსატანია ბანკში 37 მან. 20 კ.—სულ 537 მან. და 20 კ.

ვართანოვი, მინასა მანუკას ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი შენობითა და მიწით 57 ოთხ-კუთხე საჟ. ქ. თბილისში 2 განყოფილების 13 ნაწილში, ავლაბარში. ვალის თავნია 600 მან. შემოსატანია ბანკში 41 მან. და 44 კ.—სულ 641 მან. და 44 კ.

მეხტიევი, სადიხ-ოსმარ-ოღლი. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ერთ-სართულიანი შენობითა და ბაღით ზომით სულ 547 ოთხ-კუთხე საჟ. ქ. თბილისს 1 განყოფილების 9 ნაწილში, ბოტანიკურ ბაღის მახლობლად. ვალის თავნია 1,200 მან. ბანკში შემოსატანია 66 მან. და 88 კ.—სულ 1,266 მანეთი და 88 კაპ.

მირიანოვისა, ნანა დავითის ასული. ხე-ხილიანი ვენახი ზომით 1,440 ოთხ-კუთხე საჟენიანი გორის მაზრის სოფელ ხიდის-თავს. ვალის თავნია 400 მან. ბანკში შემოსატანია 32 მან. და 96 კ.—სულ 432 მან. და 96 კაპ.

ვაჩნაძისა, კნეინა მართა მიხაილის ასული. ვენახი ზომით 3 დესეტინა. სიღნაღის მაზრის სოფელ კარდანახში. ვალის თავნია 2000 მან. შემოსატანია ბანკში 36 მან. და 53 კ.—სულ 2,036 მან. და 53 კ.

ვაჩნაძე, კნ. გიორგი ნიკოლოზის ძე. ვენახი ზომით 1 დესეტინა 1,200 ოთხ-კუთხე საჟენიანი სიღნაღის მაზრის სოფ. ბაკურციხეს. ვალის თავნია 1,000 მან. შემოსატანია ბანკში 37 მან. და 20 კ.—სულ 1,037 მან. და 20 კაპ.

ვაჭრობა, თანახმად წესდების 19 მუხლისა, დაიწყობა იმ ფულის რაოდენობიდამ რაც ზემოდ მოხსენებულია ხოლო მასზედ დაერთვის კიდევ თუ რამ ვალია სახელმწიფოდ ან საერო გარდასახადისა. ვალის თავნი შეიძლება მოშორებულ იქმნას გირაობის ფურცლითაცა, რომელსაც ბანკი იმ ფასად აძლევს რა ფასისაც არის, ესე იგი, მანეთს მანეთად. შეიძლება მსყიდველმა თავისზედ გადიტანოს ვალის თავნი ბანკის თანხმობითა, ხოლო ვადაზედ შემოსატანი ფული და სხვა ნაშთები უნდა უსათუოდ ნაღდად იყოს შემოტანილი.

თუ 13-ს დეკემბერს 1877 წ. რომელიმე მამული არ გაიყიდება, მაშინ წესდების 22 მუხლის ძალითა დაინიშნება გასასყიდად მეორე უკანასკნელი ვადა 28 დეკემბერს 1877 წ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Ноября 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.